



**საქართველო**  
**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის**  
**საკრებულო**



3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72, info@ozurgeti.org.ge

N 56  
07/09/2016

56-06-4-201609071618



**განკარგულება N56**

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების  
საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების მე-2 მუხლის „თ“ ქვეპუნქტის, მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ:

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**

**მუხლი 1.** დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა თანახმად დანართისა.

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

**მუხლი 3.** ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

